სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები,
ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია,
Proceedings of Sokhumi State University,
Humanities and Socio-Political Sciences Series, ტომი/ Vol. XX, 2022 წელი

გელა ცაავა[1]
სამშვიდობო განათლების ცენტრი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აფხაზურ-ჩერქეზული დიასპორა თურქეთში, სირიაში, იორდანიასა და რუსეთის ფედერაციაში

https://doi.org/10.52340/sou.2022.20.26

აბსტრაქტი. აღნიშნულ სტატიაში განხილულია აფხაზურ-ჩერქეზული დიასპორის არსებობა და საქმიანობა, სადაც საუბარია დიასპორის ჩამოყალიბებაზე, მათ ისტორიაზე, ასევე მზარდ ინტერესზე მათი კულტურული წარსულის, ტრადიციებისა და მიგრაციის ისტორიისადმი. წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია აფხაზთა და მათი მონათესავე ჩერქეზთა ეთნიკური ჯგუფების ცხოვრება თურქეთში, სირიაში, იორდანიასა და რუსეთში. აქცენტები გაკეთებულია იმ ასობით ათასი ადამიანის შთამომავლებზე, რომლებიც მე-19 საუკუნეში ჩრდილო-დასავლეთი კავკასიიდან რუსეთის მიერ იყვნენ გასახლებულნი. აქვე საუბარია წარსულზე, რომლითაც ნათელი მოჰფენილია ჯერ კიდევ მტკივნეულ საკითხებზე.

***საკვანძო სიტყვები*:** აფხაზეთი, დიასპორა, რუსეთი, თურქეთი, სირია.

Gela Tsaava[2]
Center for Peace Education, Sokhumi State University

Abkhazian-Circassian Diaspora in Turkey, Syria, Jordan and Russian Federation

Abstract. It should be noted that the Abkhazian and Circassian diasporas are present in the largest numbers in Turkey, Syria and Jordan. They came to these cou-

[1] **გელა ცაავა,** რუსეთისმცოდნეობის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.
[2] **Gela Tsaava,** Doctor of Russian studies, Associate Professor of Sokhumi State University and National University of Georgia.
.

ntries in the 19th century as a result of mass deportations by the Caucasus War and the Russian Empire.

And a large influx of ethnic Abkhazians arrived in Russia (Especially Moscow) after the 1992-1993 war. Most of the descendants of Abkhazian Muhajirs live in Turkey. After the 19th century Caucasian War, a significant part of the autochthonous Caucasian population, including Abkhazians, was forced to emigrate to the Ottoman Empire. \Abkhazians are ethnic groups that seek to preserve and develop their own cultural and ethnic identity in the socio-political space of the Turkish state and under existing law.

***Key words*:** Abkhazia, Diaspora, Russia, Turkey, Syria.

ძირითადი კვლევა. მე-18 საუკუნის დასასრული და მთელი XIX საუკუნე შავი ფურცელია არა მხოლოდ აფხაზების, არამედ ჩრდილოეთ კავკასიის ყველა ხალხის ისტორიაში. საუკუნის მანძილზე მომხდარი მოვლენების შედეგად ბევრი მათგანი სრული გადაშენების პირას დადგა.

მე-19 საუკუნის პირველ მეოთხედში დაწყებულმა კავკასიურმა ომმა და მრავალრიცხოვანმა რუსეთ-თურქეთის ომებმა გამოიწვია ძირძველი კავკასიელი მოსახლეობის იძულებითი განდევნა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში (თურქეთი, სირია), რომელიც ისტორიაში შევიდა „მუჰაჯირობის“ სახელით (Зельницкая, 2018).

აღსანიშნავია, რომ აფხაზური და ჩერქეზული დიასპორა ყველაზე დიდი რაოდენობით თურქეთში, სირიასა და იორდანიაში არის წარმოდგენილი. ისინი ამ ქვეყნებში მე-19 საუკუნეში, კავკასიური ომისა[3] და რუსეთის იმპერიის მიერ განხორციელებული მასობრივი დეპორტაციის შედეგად მოხვდნენ, ხოლო ეთნიკურ აფხაზთა დიდი ნაკადი რუსეთში (განსაკუთრებით ქ. მოსკოვში) 1992-1993 წლების ომის შემდეგ ჩავიდა.

აფხაზ მუჰაჯირთა[4] ყველაზე მეტი შთამომავალი თურქეთში ცხოვრობს. XIX საუკუნის კავკასიური ომის შემდეგ ავტოქტონური კავკასიური მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის - აფხაზებიც იძულებული გახდნენ ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე გადასახლებულიყვნენ.

აფხაზები წარმოადგენენ ეთნიკურ ჯგუფებს, რომლებიც, თურქეთის სახელმწიფოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სივრცეში და არსებული კანონმდებლობის ფარგლებში ცდილობენ დაიცვან და განავითარონ საკუთარი კულტურული და ეთნიკური თვითმყოფადობა.

---

[3] რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობა მიმდინარეობდა 1817-1864 წლებში.

[4]მუჰაჯირობა აფხაზეთში 1864 წლიდან განხორციელდა. სამშობლოდან განდევნილი აფხაზებისა და აბაზების რიცხვმა, ე. წ. აფხაზური წყაროების მიხედვით, 135 ათასს მიაღწია.

დღეისათვის თურქეთში ეთნიკური აფხაზების რაოდენობა, სხვადასხვა მონაცემებით, 400-დან 800 ათასამდე აღწევს, რაც რამდენჯერმე აღემატება თავად ოკუპირებული აფხაზეთის მოსახლეობის ამჟამინდელ რაოდენობას. რა თქმა უნდა, ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებენ თურქეთის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. თურქეთის ასიმილაციური პოლიტიკის შედეგად დაიკარგა აფხაზური ტრადიციები. ახალი თაობის მნიშვნელოვანი ნაწილი ცუდად ფლობს აფხაზურ ენას.

თურქეთში დამკვიდრებული აფხაზების ძირითადი ნაწილი თავმოყრილია საქარიას (ადაფაზარი), ქოჯაელის (იზმითი), გოლჯუკის, ბილეჯიკის, დუზჯეს, ბალიკესირის, ესკიშჰირის, ბურსის, იზმირის, სამსუნის, სივასისა და იოზგათის ოლქებში და ქ. სტამბოლში.[5]

თურქეთში მცხოვრები აფხაზური წარმოშობის მოქალაქეები გაერთიანებულნი არიან საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, რომლებიც შექმნილია დიასპორის კომპაქტურად განსახლების ადგილებში, ქ. სტამბოლსა და დედაქალაქ ანკარაში.

აღნიშნული ორგანოებიდან აღსანიშნავია ქ. სტამბოლში მოქმედი „კავკასია-აფხაზეთის სოლიდარობის კომიტეტი“ (Kavkas abhazya Dayanisma komitesi), „სტამბოლის აფხაზური კულტურის საზოგადოება“ (Istanbul abhaz Kultur Dernegi), „ანკარის აფხაზური საზოგადოება“ (Ankara abhaz Dernegi) და „დუზჯეს აფხაზური საზოგადოება“ (Duzce Abhaz Dernegi).

აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციების საქმიანობა მიმართულია ოკუპირებულ აფხაზეთთან თანამშრომლობისა და თურქეთში აფხაზების ინტერესების ლობირებისაკენ.

მათ მიზნებში შედის ე. წ. დამოუკიდებლობის იდეის მხარდაჭერა თურქეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ წრეებში, ოკუპირებულ რეგიონთან საზღვაო და საჰაერო მიმოსვლის დაწყება, დიასპორის წარმომადგენლებისთვის შეღავათიანი ბიზნესის გარანტირება, საკუთრების უფლების დაკანონება და „მუჰაჯირთა“ შთამომავლების (ოკუპირებულ აფხაზეთში) რეპატრიაციისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება.

ათასობით აფხაზი, რომელიც ცნობილია როგორც „მუჰაჯირი“, გაიქცა აფხაზეთიდან თურქეთში მე-19 საუკუნის შუა წლებში, მას შემდეგ, რაც წინააღმდეგობა გაუწია რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობას. დღეს თურქეთი არის მსოფლიოში ყველაზე დიდი აფხაზური დიასპორის სახლი. შეფასებები განსხვავებულია - დიასპორის ლიდერების განცხადებით აფხაზეთში ცხოვ-

[5] თურქეთის ქართული წარმოშობის მოსახლეობასთან აფხაზები თანაცხოვრობენ საქარიაში, დუზჯეში, ბალიკესირში, გოლჯუკში, ინეგოლში.

რობს 1 მილიონი ადამიანი; აფხაზების შეფასებით 150 000-დან 500 000-მდე მერყეობს მათი რიცხვი (Owen, 2009).

აფხაზური ორგანიზაციები და განსაკუთრებით „აფხაზური საზოგადოებების ფედერაცია“ აქტიურად თანამშრომლობს საოკუპაციო რეჟიმის მიერ შექმნილ ე. წ. რეპატრიაციის კომიტეტთან.

ზემოხსენებული ფედერაციისა და „რეპატრიაციის კომიტეტის“ მხარდაჭერით, მიმდინარეობს ოკუპირებული აფხაზეთიდან განდევნილ ქართველთა სახლების შეკეთება და ახალი საცხოვრებელი კოტეჯების აშენება თურქეთის აფხაზური დიასპორის იმ წევრებისათვის, რომლებიც აფხაზეთში დასახლების სურვილს გამოთქვამენ.

ოკუპირებულ აფხაზეთში ჩასულ თურქეთის მოქალაქეებზე – ე. წ. აფხაზ რეპატრიანტებზე, უსასყიდლოდ გაიცემა ქართველების კუთვნილი საცხოვრებელი სახლები და კარ-მიდამოები გულრიფშის რაიონში, სოფ. მერხეულში, მაჭარაში, დრანდაში, ოჩამჩირის რაიონის სოფლებში. თურქეთიდან ჩასულ ორასამდე ოჯახს გადაეცა საკარმიდამო ნაკვეთები და ბინები.

დემოგრაფიული ვითარებიდან გამომდინარე, დე ფაქტო ხელისუფლებას თურქეთიდან აფხაზების გარკვეული რაოდენობის რეპატრიაცია სურს, რადგან ადგილობრივი მოსახლეობა 180 ათასს არ აღემატება, ხოლო საკუთრივ აფხაზები ამ რაოდენობის ნახევარსაც არ შეადგენენ.[6]

გასული წლების განმავლობაში (განსაკუთრებით 2013-2014 წლებში) გახშირდა თურქეთიდან ოკუპირებულ აფხაზეთში პარლამენტის დეპუტატების, ბიზნესმენთა ჯგუფების, საკურორტო ინდუსტრიის წარმომადგენლების ვიზიტები.

ოკუპირებულ რეგიონში დამკვიდრებული თურქეთის მოქალაქეები მონაწილეობენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ *სონერ გოგუა,* რომელიც წლების განმავლობაში აფხაზეთის დე ფაქტო პარლამენტის დეპუტატი იყო. მისი ორგანიზებით ვითარდება თურქეთისა და ოკუპირებული აფხაზეთის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები. ასევე *ტაიფუნ არძინბა,* რომელიც ხელმძღვანელობდა კომპანიას „ტყვარჩელის ქვანახშირი“.[7] იგი ამავე დე ფაქტო პარლამენტის წევრია.

თურქეთ-აფხაზეთის ე. წ. ვაჭრობისა და ერთობლივი ბიზნეს-პროექტების საფუძველი უმთავრესად აფხაზური დიასპორის ენთუზიაზმია, რომელიც თურქულმა სახელმწიფომ ძალზე სარფიანად და ხელმარჯვედ გამოიყენა

---

[6] ამიტომ, მათთვის მნიშვნელოვანია თურქეთის აფხაზური დიასპორის დაბრუნება, რაც აფხაზებს დემოგრაფიული კატასტროფისა და რუსული ასიმილაციისაგან იხსნის.

[7]აღნიშნული საწარმო დაფუძნებულია თურქულ საწარმოზე „ტამსაში“, რომელიც ოკუპირებული ტყვარჩელის მთებში ნახშირის მოპოვებით იყო დაკავებული.

არა მარტო საკუთარი ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური გავლენის გასაძლიერებლად.[8]

თურქული კომპანიები აქტიურად ახორციელებენ ბიზნეს-საქმიანობას ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე. თურქული მხარე მის გააქტიურებას ოკუპირებულ რეგიონში კერძო ბიზნესებით ხსნის. აღსანიშნავია, რომ თურქეთში მცხოვრები აფხაზური დიასპორა აქტიურად ლობირებს აფხაზეთთან „კეთილმეზობლური ურთიერთობების“ ჩამოყალიბებას.

ე. წ. აფხაზური კულტურის ცენტრების ფედერაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე არჩეული ფედერაციის სრულუფლებიანი თავმჯდომარე *ახმედ ხაპათი* აფხაზებს შეპირდა ახალი პროექტების განხორციელებას. კერძოდ, ის ხელს შეუწყობს თურქეთში მცხოვრებ აფხაზებს ე. წ. აფხაზეთის მოქალაქეობის მიღებაში, ასევე აფხაზური ენის სწავლებას დიასპორაში.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის ფედერაციაში მცხოვრები აფხაზური დიასპორა ყველაზე მეტად ქ. მოსკოვშია თავმოყრილი. ეთნიკურ აფხაზთა დიდი ნაკადი რუსეთის დედაქალაქში 1992-1993 წლების ომის შემდეგ ჩავიდა.

დიასპორის შემადგენლობაში შედიან რუსეთის ფედერაციაში წარმატებული ეთნიკური აფხაზები: ხელოვნებისა და ბიზნეს-წრეების წარმომადგენლები და ა. შ. 2010 წლის მონაცემებით რუსეთში ცხოვრობდა 43 341 აფხაზი.

აფხაზების რაოდენობა რუსეთის ფედერაციაში 11 366-დან 11 249 კაცამდე შემცირდა. თუმცა, დონის როსტოვსა და როსტოვის ოლქში, პირიქით, გაიზარდა (Шария, 2018).

ქ. მოსკოვში მცხოვრები დიასპორის წარმომადგენლები აქტიურად არიან ჩართულნი სხვადასხვა პროექტებისა და ღონისძიებების განხორციელებაში. რუსეთში არსებული აფხაზურ დიასპორას აქტიური კავშირები აქვს საზღვარგარეთ არსებულ აფხაზურ დიასპორებთან.

აფხაზური დიასპორის აქტიური წარმომადგენელი და რუსეთის პოლიტიკაში გავლენიანი პირია *ოთარ (თენგიზ) არშბა.*[9] მას საკმაოდ დიდი გავლენა აქვს რუსეთის აფხაზურ დიასპორაზე. ქ. სოხუმში დაბადებულმა და ქ. ბათუმში გაზრდილმა, რამდენიმე წლის წინ მილიარდელთა ათეულში, 2,5 მილიარდიანი ქონებით, მეცხრე პოზიცია დაიკავა.[10]

---

[8]უნდა აღინიშნოს, რომ ნაწილობრივ აღიარებული რესპუბლიკის პასპორტები სწორედ თურქეთის ტერიტორიაზე იბეჭდება, რაც ასევე დიასპორის არაოფიციალური სახალხო დიპლომატიის „დამსახურებაა“.

[9] ქ. ბათუმის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ *არშბების* ოჯახი საცხოვრებლად ქ. მოსკოვში გადავიდა, *ოთარ არშბა* კი მამის კვალს გაჰყვა - სწავლა სსრკ-ის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში (სუკ/КГБ) გააგრძელა.

[10] მისი ქონებრივი დეკლარაციიდან ირკვევა, რომ იგი ფლობს მიწის რამდენიმე ნაკვეთს საქართველოსა და რუსეთში. აქვს ოთხი ფეშენებელური სახლი ქ. მოსკოვში, ორი კერძო სახლი კი საქართველოში, ჰყავს პირადი დაცვა, რამდენიმე ძვირა-

ქ. მოსკოვში მოქმედი აფხაზური დიასპორა წინასაახალწლო საქველმოქ-მედო აქციას პერიოდულად მართავს, რაც გულისხმობს მზრუნველობამოკ-ლებული ბავშვებისთვის საჩუქრების განაწილებას.

აღსანიშნავია, რომ იორდანიაში, თურქეთისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის მსგავსად, საკმაოდ დიდი ჩერქეზული დიასპორა არსებობს. აფხაზების გარ-კვეული ნაწილი სწორედ მათთან ახდენს იდენტიფიცირებას. ნაწილმა კი დამოუკიდებელი აფხაზური დიასპორა ჩამოაყალიბა.

ამჟამად, იორდანიის მეფის გვარდია მთლიანად ჩერქეზებისაგან შედ-გება. ქვეყანაში არსებობს ჩერქეზული ორგანიზაციები და სასწავლებლები, მაუწყებლობს ჩერქეზული ტელეარხი და გამოდის ჟურნალ-გაზეთები.

დიასპორა იორდანიაში საკმაოდ ძლიერია. საკანონმდებლო ორგანოში ტრადიციულად სამი წარმომადგენელი ჰყავთ, ფლობენ მაღალ პოლიტიკურ თანამდებობებსაც.

ამერიკელი დამოუკიდებელი მკვლევარ-ექსპერტის *სტეფან დ. შენფილ-დის* გამოკვლევებით დგინდება, რომ თანამედროვე ჩერქეზთა საერთო რაო-დენობა მთელ მსოფლიოში 6 248 000 შეადგენს. აქედან იორდანიაში 100 000 ადამიანი ცხოვრობს.

აღსანიშნავია, რომ ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობა აქ-ტიურად თანამშრომლობს იორდანიის ბიზნეს-წრეებთან. იორდანიის ოფი-ციალური პირები ჩადიან ოკუპირებულ რეგიონში.

თანამშრომლობა ძირითად სავაჭრო-სამრეწველო პალატების დახმა-რებით მიმდინარეობს. „ურთიერთანამშრომლობა“ არსებობს სამედიცინო სფეროში, რაც გულისხმობს აფხაზი მედიკოსების იორდანიაში სტაჟირებას.

სირიაში მცხოვრები აფხაზების ზუსტი რაოდენობა დანამდვილებით ცნობილი არ არის. ე. წ. აფხაზური წყაროების მონაცემებით, ამ ქვეყანაში 30 ათასამდე ეთნიკური აფხაზი ცხოვრობს. თუმცა, დე ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტროს დასკვნით, მათი რიცხვი 8-9 ათასს არ აღემატება.

23 მილიონიან სირიაში მხოლოდ 5000-მდე აფხაზი ცხოვრობს, თუმცა მათ ნაწილს მაღალი თანამდებობები უკავია სირიის პრეზიდენტის ბაშარ ალ ასადის თავდაცვისა და უშიშროების სტრუქტურებში (წულაძე, 2012). აფხაზურ-ადიღეური წარმოშობის მოქალაქეთა რეპატრიაცია სირიიდან ოკუ-

---

დღირებული ავტომანქანა, არის დაახლოებით 10-მდე მსხვილი კომპანიისა და რამ-დენიმე მედიასაშუალების აქციების მფლობელი, მათ შორის ტელეკომპანია „ტვ მოსტი“-ს 50%-ის.

პირებულ აფხაზეთში 2012 წლის მარტიდან დაიწყო[11] და 500-ზე მეტი აფხაზურ-ადიღეური წარმოშობის რეპატრიანტი ჩამოსახლდა.

დიდ პრობლემებს აწყდება აფხაზეთში მუჰაჯირების შთამომავლების რეპატრიაციის პროგრამა – ათასობით აფხაზური, ადიღეური და ჩერქეზული ოჯახი, რომლებიც სამშობლოდან რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობის შემდეგ გააძევეს (არძინბა, 2019).

ოკუპირებულ რეგიონში ჩასახლებულ სირიის მოქალაქეებს ავტომატურად მიენიჭათ „აფხაზეთის მოქალაქეობა“. სირიის მოქალაქეებს გულრიფშის რაიონში სოფელ დრანდაში კერძო სახლები უქირავეს, ნაწილს კი საცხოვრებელი ფართები მუდმივ მფლობელობაში გადაეცა.

სირიელი და იორდანიელი აფხაზების აფხაზეთში ჩამოსახლებას სკეპტიკურად უყურებენ ადგილობრივი სომხები, განსაკუთრებით - გაგრელები. ამ პროცესებისადმი სკეპტიკურად არის განწყობილი აფხაზი მოსახლეობის ნაწილიც (პაპასკირი, 2018).

ე. წ. აფხაზთა „რეპატრიაციის“ ფონდმა სირიელ რეპატრიანტებს აუნაზღაურა ავია-ბილეთების, კვების, სახლების შეძენის, ბინების კეთილმოწყობის, პანსიონატებში ცხოვრების, ავეჯის, ტექნიკის შეძენის, ბინის ქირის, ერთჯერადი შემწეობისა და აფხაზური ენის შესწავლის ხარჯები.

დღეს მსოფლიოში მიმოფანტული კავკასიელი მთიელები სწრაფ ასიმილაციას ექვემდებარება. დიასპორის დიდი ნაწილი თურქეთშია, რომელიც არ გვთავაზობს პირობებს ეროვნული თვითშეგნების, კულტურისა და ენის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის (Vardania, 2013).

ვფიქრობთ, აფხაზებს დამოუკიდებლად არ შეუძლიათ ასე კარგად იმუშაონ თურქეთსა და იმ ქვეყნებში, სადაც მათი დიასპორები (წარმომადგენლობები) მნიშვნელოვნად აქტიურობენ. სავარაუდოდ, ამის უკან რუსეთის ინტელექტუალურ-პოლიტიკურ-ფინანსური მხარდაჭერაც დგას, რაც ოკუპირებული აფხაზეთის ე. წ. აღიარებისა და საქართველოდან საბოლოო მოწყვეტისკენაა მიმართული.

[11] აფხაზურ-ადიღეური წარმოშობის რეპატრიანტთა ოკუპირებულ აფხაზეთში ჩამოსახლება სირიის სამოქალაქო ომის პარალელურად მოხდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

არძინბა, (2019). ასტა არძინბა. *რეპატრიაცია აფხაზეთში: მითები და რეალობა.* თბილისი, 13.12.2019. ხელმისაწვდომია https://jam-news.net/ge-/%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94%E1%83%97%E1%83%A8%E1%83%98-%E1%83%9B/

პაპასკირი, (2018). ლალი პაპასკირი. *სირიაში, იორდანიასა და თურქეთში მცხოვრებ აფხაზებს ,,სამშობლო უხმობს''!..* თბილისი, 18 ივნისი, 2018. ხელმისაწვდომია https://kvirispalitra.ge/article/44045-siriashi-iordaniasa-da-thurqethshi-mckhovreb-afkhazebs-qsamshoblo-ukhmobsq/

წულაძე, (2012). ზაზა წულაძე. *აფხაზები სირიიდან მუჰაჯირებს ელიან.* თბილისი, 03 იანვარი, 2012. ხელმისაწვდომია https://www.amerikiskhma.-com/a/syria-abkhaz-muhajirs-136600623/537759.html

Зельницкая, (2018). Рица Зельницкая. *Абхазские Репатрианты: Проблемы Адаптации.* 2018. ხელმისაწვდომია https://www.academia.edu/37926-667/%D0%90%D0%91%D0%A5%D0%90%D0%97%D0%A1%D0%9A%D0%98%D0%95_%D0%A0%D0%95%D0%9F%D0%90%D0%A2%D0%A0%D0%98%D0%90%D0%9D%D0%A2%D0%AB_%D0%9F%D0%A0%D0%9E%D0%91%D0%9B%D0%95%D0%9C%D0%AB_%D0%90%D0%94%D0%90%D0%9F%D0%A2%D0%90%D0%A6%D0%98%D0%98

Шария, В. (2018). Виталий Шария. *Сколько абхазов живет в России?* Март 27, 2018. ხელმისაწვდომია https://www.ekhokavkaza.com/a/29128601.html

Owen, E. (2009). Elizabeth Owen. *Abkhazia's diaspora: Dreaming of home.* 9 March 2009.ხელმისაწვდომია https://www.refworld.org/docid/49b7bf8028.html

Vardania, G. (2013). Gudisa Vardania. *The Caucasian Diaspora - Abkhaz and Adighes: Episodes from the past.* Wednesday, 10 July 2013. ხელმისაწვდომია https://a-bkhazworld.com/aw/history/614-the-caucasian-diaspora-abkhaz-and-adighes-episodes-from-the-past